



ბალთ & თაგარტი

გვეწოდით შესაძლებლობებს



საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა

15 თებერვალი 2021

1 ეკონომიკური ტენდენციები საქართველოში

2 საგარეო სექტორი

3 ლარის გაცვლითი კურსი და ინფლაცია


4 საბანკო სექტორი

5 ძირითადი დასკვნები




2021 წლის 1 თებერვლიდან შეზღუდვების ეტაპობრივი შემსუბუქება დაიწყო, თუმცა ვირუსი კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება

COVID-19-ის სტატისტიკა საქართველოში



წყარო: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, 12.02.2021 მდგომარეობით

COVID-19-ის აქტიური შემთხვევები 100,000 მოსახლეზე




წყარო: Johns Hopkins University, Worldometers, 12.02.2021 მდგომარეობით

საქართველო COVID შეზღუდვების სიმკაცრით მე-15 ადგილზეა მსოფლიოს 184 ქვეყნიდან

COVID-19 Government Stringency Index - შეზღუდვების სიმკაცრის ინდექსი (100 ქულა = ყველაზე მკაცრი)

ქვეყნები	პოზიცია 184 ქვეყნიდან	ქულა (0-100)
კუბა	1	90.7
ირლანდია	4	88.0
გერმანია	12	83.3
კვიპროსი	15	80.6
აზერბაიჯანი	15	80.6
საქართველო	15	80.6
რუმინეთი	26	76.9
პოლონეთი	45	71.3
თურქეთი	51	69.4
ყაზახეთი	57	68.5
ლიეტუვა	63	66.7
ისრაელი	71	63.0
ლატვია	89	56.5
უკრაინა	95	54.6
რუსეთი	127	45.8
ესტონეთი	139	41.7
ბელარუსი	163	27.8



ვაქცინაცია 75-ზე მეტ ქვეყანაში დაიწყო (სულ 200 მლნ-მდე ადამიანი), მათ შორის მეზობელ ქვეყნებშიც

COVID ვაქცინაციის სტატისტიკა მსოფლიოში

ტოპ 10 ქვეყანა	აგრული მოსახლეობა, %
ისრაელი	40.3%
სეიშელი	39.3%
ბრიტანეთი	19.5%
ბაჰრეინი	14.3%
აშშ	10.5%
სერბეთი	7.6%
მალტა	6.3%
ჩილე	5.9%
მალდივები	5.4%
სლოვაკეთი	3.7%
მეზობელი ქვეყნები	
თურქეთი	3.5%
რუსეთი	1.5%

წყარო: Bloomberg, 10.02.2021 მდგომარეობით

ვაქცინაციის პროცესი საქართველოში


- მოზრდილი მოსახლეობის 60%-ის მოსაცავად სულ საჭიროა 3,979,327 დოზა
- საქართველოს COVAX-ის პლატფორმიდან 2021 წლისთვის გარანტირებული აქვს 1,484,400 ვაქცინის დოზა. დამატებით 2,494,927 დოზის შემოტანა ალტერნატიული წყაროებიდან განიხილება
- ვაქცინაციის ღირებულება 64-160 მლნ ლარი

წყარო: საქართველოში COVID-19 ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმა, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 იანვრის #67 განკარგულებით



საქართველოს ეკონომიკა 2020 წელს 6.1%-ით შემცირდა, ყველაზე დიდი დარტყმა ტურიზმს მიადგა. ეკონომიკამ „ლოქდაუნის“ შედეგად დამატებით 1.0 მლრდ ლარი დაკარგა

რეალური მშპ-ის ზრდა: ლოქდაუნით vs. ლოქდაუნის გარეშე




რა დანაკარგი გვაქვს „ლოქდაუნის“ შედეგად?

- ჩვენი შეფასებით ეკონომიკა დღეში საშუალოდ კარგავს 16 მლნ ლარს
- ჯამურად 2020 წელს 1.0 მლრდ ლარის დანაკარგია

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი


ხელფასები და დაქირავებით დასაქმება „ლოქდაუნის“ პერიოდებში შემცირდა

დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა და ხელფასები



წყარო: შემოსავლების სამსახური

2020 წელს ფულადი გზავნილები გაიზარდა, სავაჭრო ბალანსი გაუმჯობესდა, 2020 აპრილიდან ტურიზმი მინიმალურია




წყარო: საქსტატი, სებ



ფისკალური სტიმული 2021 წელსაც მნიშვნელოვანი იქნება ეკონომიკის აღდგენისთვის


ფისკალური დეფიციტი, %-ად მშპ-თან



წყარო: ფინანსთა სამინისტრო

- მთავრობის ანტიკრიზისულმა ხარჯებმა (ჯანდაცვა, ბიზნესის და შინამეურნეობების დახმარება) 2020 წელს მშპ-ის 4% (2 მლრდ ლარი) შეადგინა
- 2021 წელს ანტიკრიზისული ხარჯები მშპ-ის 2.1%-ია (1.1 მლრდ ლარი)
- ინფრასტრუქტურული პროექტები რეკორდულად მაღალ ნიშნულზეა დაგეგმილი 2021 წელს (4.3 მლრდ ლარი)

მთავრობის ვალი, %-ად მშპ-თან




წყარო: ფინანსთა სამინისტრო

- 2020 წელს მთავრობის მთლიანი ვალი წლიურად 9.7 მლრდ ლარით გაიზარდა და წინასწარი მონაცემებით მშპ-ის 60.3% შეადგინა
- 2021 წელს მთავრობა 500 მლნ ევრობონდების რეფინანსირებას გეგმავს
- საშუალოვადიან პერიოდში ფისკალური პარამეტრების პანდემიამდელ არსებულ ნიშნულამდე დაბრუნება მთავარი გამოწვევაა



საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2021 წელს

საქართველოს ეკონომიკის ზრდის პროგნოზი



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

საბაზისო სცენარი, 2021

ეფუძნება დაშვებას, რომ ტურიზმის სექტორი თანდათანობით აღდგენას დაიწყებს წლის მეორე ნახევრიდან და ქვეყანა მიიღებს დაახ. 1.2 მლრდ აშშ დოლარს (2019 წლის დონის 36%).

ზრდის წარმართველი იქნება ასევე ფისკალური სტიმული, საბანკო დაკრედიტება და ფულადი გზავნილები.

პესიმისტური სცენარი, 2021

ეფუძნება დაშვებას, რომ ტურიზმის სექტორი არ აღდგება. ამ შემთხვევაში ვუშვებთ, რომ საჭირო გახდება დამატებითი ფისკალური სტიმული.

შენიშვნა: ეს სცენარები ეკონომიკის შემდგომ ჩაკეტვას არ ითვალისწინებს.

მოლოდინები საქართველოს ეკონომიკის სექტორებზე

საბაზისო სცენარში სწრაფად მზარდი სექტორები

ვაჭრობა

მშენებლობა

სასტუმროები/რესტორნები

ტრანსპორტი

საფინანსო სექტორი

წარმოება

სოფლის მეურნეობა



1 ეკონომიკური ტენდენციები საქართველოში

2 საგარეო სექტორი

3 ლარის გაცვლითი კურსი და ინფლაცია


4 საბანკო სექტორი

5 ძირითადი დასკვნები




საგარეო ბალანსი 1,045 მლნ აშშ დოლარით გაუარესდა 2020 წელს

საგარეო ნაკადების ძირითადი კატეგორიები მლნ აშშ\$



წყარო: სებ, საქსტატი, გალტ & თაგარტი

2020 წლის იანვარ-დეკემბერში:



წყარო: სებ, საქსტატი, გალტ & თაგარტი

იმპორტი უფრო მკვეთრად შემცირდა, ვიდრე ექსპორტი, შესაბამისად საქონლით ვაჭრობის ბალანსი 1.1 მლრდ დოლარით გაუმჯობესდა 2020 წელს

საქონლის ექსპორტი, 2020

	2019	2020	%-ლი ცვლილება
მთლიანი ექსპორტი	3,798	3,342	-12.0%
სპილენძი	649	729	12.3%
ავტომობილები	733	404	-44.9%
ფეროშენადნობები	303	247	-18.5%
ღვინო	223	210	-5.6%
სპირტიანი სასმელები	127	132	3.8%
მინერალური წყალი	134	117	-12.7%
მედიკამენტები	172	99	-42.6%
ოქრო	73	98	34.0%
თხილი	67	94	40.9%
ძვირფასი ლითონები	11	90	+8.2x
სხვა	1,306	1,122	-14.2%

წყარო: საქსტატი

საქონლის იმპორტი, 2020


	2019	2020	%-ლი ცვლილება
მთლიანი იმპორტი	9,517	8,006	-15.9%
ავტომობილები	1,108	759	-31.4%
სპილენძი	604	533	-11.6%
ნავთობი	757	498	-34.2%
მედიკამენტები	355	327	-7.9%
გაზი	328	295	-10.2%
ტელეფონები	212	165	-22.3%
ხორბალი	109	108	-0.9%
თამბაქო	105	89	-15.4%
ძვირფასი ლითონები	6	77	+12.1x
სატვირთო ავტომობილები	72	72	-0.4%
სხვა	5,860	5,082	-13.3%

წყარო: საქსტატი




პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2020 წლის პირველ 9 თვეში 24%-ით შემცირდა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში



წყარო: საქსტატი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა სექტორების მიხედვით, 9M20



წყარო: საქსტატი



1 ეკონომიკური ტენდენციები საქართველოში

2 საგარეო სექტორი

3 ლარის გაცვლითი კურსი და ინფლაცია


4 საბანკო სექტორი

5 ძირითადი დასკვნები



2020 წელს ლარი 14.3%-ით გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ

ლარი და რეგიონის ვალუტები აშშ დოლარის მიმართ



2021 წელს ეროვნული ბანკის ინტერვენციები გრძელდება

ტურიზმის აღდგენის შემთხვევაში ლარის გამყარებას ველოდებით 3.15-3.2 ნიშნულზე


პესიმისტურ სცენარში ლარის კურსი 3.3-3.4 ფარგლებშია მოსალოდნელი.

წყარო: ცენტრალური ბანკები
შენიშვნა: მინუსი/პლუსი ნიშნავს გაუფასურებას/გამყარებას, პერიოდი 1 იანვარი - 31 დეკემბერი, 2020



2021 წელს საშუალო წლიური ინფლაცია მოსალოდნელია 4.5%-ის დონეზე; სებ-ის რეფინანსირების განაკვეთი უცვლელია 2020 წლის აგვისტოს შემდეგ


წლიური ინფლაცია



წყარო: საქსტატი

- დეკემბერ-იანვარში წლიური ინფლაცია მიზნობრივ დონეზე დაბალია, რაც მთავრობის კომუნალური გადასახადების სუბსიდირებით იხსნება.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სებ

- სებ-ის საბაზისო პროგნოზით, 2021 წლის ბოლოს მოსალოდნელია რეფინანსირების განაკვეთის მცირედით შემცირება, თუმცა მანამდე განაკვეთის ზრდის ალბათობაც არის.


2020 წელს სებ-ის ინტერვენციების მიუხედავად საერთაშორისო რეზერვები გაიზარდა

საერთაშორისო რეზერვები, მლრდ აშშ დოლარი



წყარო. სებ

სებ-ის ინტერვენციები, მლნ აშშ დოლარი



წყარო. სებ

- 2020 წელს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები წლიურად 11.5%-ით გაიზარდა და 3.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც დონორი ორგანიზაციებიდან სავალუტო ჩამორიცხვებს უკავშირდება
- სებ-მა 916 მლნ აშშ დოლარი გაყიდა 2020 წელს სავალუტო ბაზარზე
- სებ-ი აგრძელებს სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის გაყიდვას ლარის მხარდასაჭერად, ინფლაციური წნეხის შესარბილებლად.

1 ეკონომიკური ტენდენციები საქართველოში

2 საგარეო სექტორი

3 ლარის გაცვლითი კურსი და ინფლაცია


4 საბანკო სექტორი

5 ძირითადი დასკვნები




საბანკო სისტემა პანდემიას საკმაოდ მომზადებული შეხვდა. სესხების პორტფელის წლიურად 9.1%-ით გაიზარდა 2020 წელს

საბანკო სესხების პორტფელის ზრდა



წყარო: სეზ


სესხების წლიური ზრდის ტემპი მიზნობრიობის მიხედვით



წყარო: სეზ

დოლარიზაცია 2020 წლის მარტის პიკის შემდეგ შემცირდა


სესხების და დეპოზიტების დოლარიზაცია



წყარო: სეზ


საპროცენტო განაკვეთების დინამიკაზე კვლავ მოკლევადიანი გაურკვევლობები იმოქმედებს 2021 წელს

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე



წყარო: სეზ

საპროცენტო განაკვეთები იურიდიული პირების სესხებზე



წყარო: სეზ

1 ეკონომიკური ტენდენციები საქართველოში

2 საგარეო სექტორი

3 ლარის გაცვლითი კურსი და ინფლაცია

4 საბანკო სექტორი

5 ძირითადი დასკვნები



შეჯამება

მშპ

- 2021 წელს საბაზისო სცენარით მოსალოდნელია 5.0%-იანი ეკონომიკური ზრდა.
- პესიმისტურ სცენარში, ჩვენი პროგნოზით ეკონომიკა 3.6%-ის ფარგლებში გაიზრდება.

ინფლაცია

- 2021 წელს საშუალო წლიური ინფლაცია 4.5%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი.
- პესიმისტურ სცენარში ფასების დონის 5-6%-იან ზრდას ვპროგნოზირებთ.

ლარი/\$

- ლარის კურსის გამყარება მოსალოდნელია ტურიზმის აღდგენის შემთხვევაში

რეფინანსირების განაკვეთი

- პესიმისტურ სცენარში, ინფლაციაზე მოსალოდნელი ზეწოლიდან გამომდინარე სებ-ს შესაძლოა მოუხდეს პოლიტიკის განაკვეთი გაზრდა 1.0 პროცენტული პუნტით.

საბანკო სესხები

- საბაზისო სცენარით, 2021 წელს საბანკო სესხების ზრდის ტემპი 10-12%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი გაცვლით კურსის ეფექტის გამორიცხვით
- პესიმისტური სცენარით, საბანკო სესხების ზრდა 5-7%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი.

რისკები

- პანდემია და შეფერხებული ვაქცინაცია
- პოლიტიკური არასტაბილურობა
- ტურიზმის აღდგენის ნელი ტემპები



გალატი & თავარიტი

მედიკამენტების უმჯობესი მწარმოებელი

მადლობა ყურადღებისთვის

მეტი ინფორმაციისთვის ესტუმრეთ ვებ-გვერდს www.gt.ge

კითხვა-პასუხი



www.gt.ge

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

Galt & Taggart-ის ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, Galt & Taggart-ის მხრიდან. Galt & Taggart-ი პასუხისმგებლობას არ იღებს ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე. ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და Galt & Taggart-ს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. Galt & Taggart-ის მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ Galt & Taggart-ის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია.

კვლევების დეპარტამენტის უფროსი
ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების უფროსი
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge

